R_1 და R_2 – მექანიზებული სამაგრის რეაქციის ძალები, მნ;

b_1 – მექანიზებული სამაგრის ბიგებს შორის მანძილი, მ;

მექანიზებული სამაგრის დაყენების ხარჯის /ა/ მიხედვით დატვირთვა მოსული სამაგრის წინა და უკანა ბიგებზე იანგარიშება:

$$R_1 = \frac{q(l_{uk} + l_{Cam})^2 \cdot (l_{uk} - b_1)\alpha}{200[l_{uk}^2 + (l_{uk} - b_1)^2]} + P_{saw};$$

$$R_2 = \frac{q(l_{uk} + l_{Cam})^2 \cdot l_{uk}\alpha}{200[l_{uk}^2 + (l_{uk} - l_1)^2]} + P_{saw};$$

სადაც: α არის სამაგრი სექციის დაყენების ბიჯი, მ;

P_{saw} – ბიგის საწყისი განბრჯენა, მნ;

ერთ ბიგზე მოსული მაქსიმალური დატვირთვა, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს რომელიმე ბიგის მწყობრიდან გამოსვლისას იქნება:

$$R_{mag} = \frac{q(l_{uk} + l_{Cam})^2 \alpha}{200 \cdot l_{uk}} + P_{saw};$$

,„Донбасс“-ის ტიპის მექანიზებული სამაგრისათვის, რომელსაც აქვს ბიგების სამი რიგი და თითოეულ რიგში გვაქვს ორი ბიგი, თითოეულ ბიგზე მოსული დატვირთვა გამოისახება ფორმულით:

$$R_1 = \frac{q(l_{uk} + l_{Cam})^2 \cdot (l_{uk} - b_1 - b_2) \cdot \alpha}{400[l_{uk}^2 + (l_{uk} - b_1)^2 + (l_{uk} - b_1 - b_2)^2]} + P_{saw};$$

$$R_2 = \frac{q(l_{uk} + l_{Cam})^2 \cdot (l_{uk} - b_1) \cdot \alpha}{400[l_{uk}^2 + (l_{uk} - b_1)^2 + (l_{uk} - b_1 - b_2)^2]} + P_{saw};$$

$$R_3 = \frac{q(l_{uk} + l_{car})^2 \cdot l_{uk} \cdot \alpha}{400[l_{uk}^2 + (l_{uk} - b_1)^2 + (l_{uk} - b_1 - b_2)^2]} + P_{saw}$$

სადაც: b_2 არის მეორე და მესამე რიგის განაპირა ბიგებს შორის მანძილი, მ; მაქსიმალური დატვირთვა, როცა $R_1=0$ და $R_2=0$ იქნება:

$$R_{mag} = \frac{q(l_{uk} + l_{car})^2 \cdot \alpha}{200 \cdot l_{uk}} + P_{saw}$$

მიღებული რეაქციის მალები უნდა შეესაბამებოდეს მექანიზმებული სამაგრის ტექნიკურ მახასიათებლებს. გარდა ამისა მექანიზმებული სამაგრი უნდა შემოწმდეს მისი საყრდენი ელემენტების ფენის ნიადაგში ჩაწევაზე /ჩასობაზე/ ან ჭერის ქანებში სამაგრის გადახურვის ჩასობაზე. ჩასობის სიდიდე თავის მხრივ დამოკიდებულია მაქსიმალურ რექაციასა და საყრდენის ფართზე და იანგარიშება დამოკიდებულებით:

$$R_{mag} \leq \frac{\sigma_{Wer.}}{n} S_{Wer.}$$

$$R_{mag} \leq \frac{\sigma_{niad.}}{n} S_{niad.};$$

სდაც: σ_{Wer} და σ_{niad} არის შესაბამისად ჭერისა და ნიადაგის ქანების წინაღობის ზღვარი ჩაწევაზე, მპა;

S_{Wer} და S_{niad} . – შესაბამისად ჭერისა და ნიადაგის ქანების კონტაქტის ფართი მექანიზმებულ სამაგრთან, მ²;

n – სიმტკიცის მარაგის კოეფიციენტი და საშუალო სიმაგრის ქანებისათვის აიღება 4-6 ფარგლებში.

მაგალითი: ჩატარებულ იქნას მექანიზმებული სამაგრის ანგარიში შემდეგი პირობებისათვის:

კომპლექსით KM-87 მუშავდება 1,2 მ სისიქის ფენა;

ფენის დახრის კუთხე $\alpha=120^\circ$;

ფენის ამოდება წარმოებს კომბაინით 2K-52, რომლის პირმოდებაა $r=0,63$ მ;

უკანა ბიგის დაცილება სანგრევის მკერდთან სექციის გადაადგილების შემდეგ შეადგენს 3,0 მ; $l_{car}=3,0+r=3,0+0,63=3,63$ მ;

მანძილი მეზობელი სექციების ბიგებს შორის /დაყენების ბიჯი/ $\alpha=1,0$ მ.

მანძილი სექციის ბიგებს შორის $b_1=1,0$ მ;

ფენის ჭერში ჩაწოლილია მსხვილშრეული საშუალო სიმდგრადის თიხოვანი ფიქალი სისქით $h_{sq}=8,0$ მ და საშუალო სიმკვრივით $\gamma=2,5$ ტ/მ³.

უშეალო ჭერის ქანების ხვედრითი წინადობა ჩაწევაზე $\sigma_{\text{შე}}=4,0$ მპა; ძირითადი ჭერი წარმოდგენილია ქვიშაქვებით, სისქით 10,0 მ. პრაქტიკით დადგენილია, რომ ფენის ამოლებისას დაკიდებული კონსოლის სიგრძე $l_{\text{Cam}}=1,5$ მ.

ფენის ნიადაგში ჩაწოლილია ქვიშაფიქლები ხვედრითი წინადობით ჩაწევაზე $\sigma_{\text{ნიად}}=5,0$ მპა;

ვსაზღვრავთ ბიგების რეაქციას:

$$R_1 = \frac{2,5 \cdot 8,0 (3,63 + 1,5)^2 (3,63 - 1,0) \cdot 1,0}{200 [3,63^2 + (3,63 - 1,0)^2]} + 0,15 = 0,494 \text{ მნ;}$$

$$R_2 = \frac{2,5 \cdot 8,0 (3,63 + 1,5)^2 \cdot 3,63 \cdot 1,0}{200 [3,63^2 + (3,63 - 1,0)^2]} + 0,15 = 0,625 \text{ მნ;}$$

$$R_{\text{mag}} = \frac{2,5 \cdot 8,0 \cdot (3,63 - 1,0)^2 \cdot 1,0}{200 \cdot 3,63} + 0,15 = 0,875 \text{ მნ;}$$

ვამოწმებთ სამაგრს მისი საყრდენი ელემენტების ჩაწევაზე:

$$\text{ჭერში} - R_{\text{mag}} \leq \frac{4}{5} \cdot 3,27; \quad 0,875 < 2,62$$

$$\text{ნიადაგში} - R_{\text{mag}} \leq \frac{5}{5} \cdot 1,06; \quad 0,875 < 1,06$$

ანგარიშიდან გამომდინარეობს, რომ შერჩეული სამაგრის ტექნიკური მახასიათებლები შეესაბამება მისი ექსპლუატაციის პირობებს.

ამოცანა ჩატარებული იქნას მექანიზებული სამაგრის რეაქცის ძალების ანგარიში შემდეგი პირობებისათვის:

Nº	კომპლექსი	უშეალო ჭერის ქანების სისქე $h_{\text{შე}}$, მ.	საშეალო სიმკვრივე, $\gamma, \text{ტ}/\text{მ}^3$	საწყისი განბრჯენა, $P_{\text{საწ}}, \text{მნ}$
1	KM-87	10	2,5	0,10
2	"Домбасс"	8	2,8	0,15
3	KMK-97	12	2,6	0,10
4	KД-70	10	2,7	0,15
5	KMK-98	8	2,6	0,10
6	KM-88	10	2,7	0,10

9. საჭმელი სანბრეზის ბამაბრების პასკორტისა და ჰერის მართვის ანგარიში 06403047ალური სამაბრისას

საწმენდი სამუშაოების გადაადგილების კვალდაკვალ ხდება ჭერის ქანების განმრევება და ისინი კონსოლის ან ძელის სახით დაეკიდებიან, რითაც ქმნიან პირველად დაწოლას სანგრევისპირა სივრცის სამაგრზე. სანგრევისპირა სამაგრის მოხსნის შემდეგ უშუალო ჭერის ქანები ჩამოიქცევიან, ხოლო მირითადი ჭერის ქანები კი უფრო მეტად იღუნებიან და შემდგომ ჩამოიქცევიან მსხვილ ბლოკებად. თუ მირითადი ჭერის ქანებისათვის გამომუშავებულ სივრცეში არაა საკმარისი საყრდენი, მაშინ ისინი ჩამოიქცევიან და მეორადი დაჯდომის სახით იწვევენ დამატებით დატვირთვას უშუალო ჭერზე, მაშასადამე სანგრევისპირა სივრცის სამაგრზე.

ჩვეულებრივად სანგრევისპირა სივრცის სამაგრი განიცდის პირველადი ჩამოქცევების გავლენას, ხოლო სპეციალური სამაგრი კი როგორც პირველად, ასევე მეორად ჩამოქცევებს. მეორადი ჩამოქცევები, ჩვეულებრივ, გამოვლინდება უშუალო ჭერის არასაკმარისი სისქისას ე.ი. როდესაც გამორიცხულია თვითამოყორვის პირობა.

თუ განმრევებული ქანების შრე დაიკიდება კონსოლური ძელის სახით სისქით $h_{\text{უ}}$, და ქმნიან ამით პირველად დაწოლას სანგრევისპირა სამაგრზე, მაშინ სანგრევისპირა სივრცის $1 - \beta^2$ ფართობზე $Q_{\text{ხა}}$. მოსული დაწოლა იანგარიშება ფორმულით:

$$Q_{\text{сан}} = h_{\text{ս}} \gamma \frac{1}{100}$$

სადაც: $h_{\text{უ}}$ არის უშუალო ჭერის ქანების სისქე, მ;

γ – ჭერის ქანების საშუალო სიმკვრივე, $\text{ტ}/\text{მ}^3$;

ამ შემთხვევაში სანგრევისპირა სივრცის ყოველ კვადრატულ მეტრზე აუცილებელია დაყენებულ იქნეს გარკვეული რაოდენობით ბიგი, რომელიც გამოითვლება ფორმულით:

$$N = \frac{Q_{\text{сан}}}{P},$$


სადაც: P არის მიღებული ტიპის ბიგზე დასაშვები მუშა დატვირთვა, მნ;

სანგრევისპირა სივრცის სამაგრის ჩარჩოებს შორის მანძილი გამოითვლება ფორმულით:

$$l_{\text{car}} = \frac{N_1}{IN}$$

სადაც: N_1 არის ჩარჩოში ბიგების რაოდენობა, ცალი;

I – ჩარჩოს სიგრძე, მ;



ნახ. 5. სამაგრის საანგარიშო სქემა

თუ უმუალო ჭერის განშრევებული ქანები ჩამოიქცევიან სანგრევის მკერდის ხაზზე ფ კუთხით და ამ ქანის ბლოკი შეკავებულია სანგრევისპირა სამაგრით, მაშინ სანგრევისპირა სამაგრის თითოეულ ბიგზე მოსული დატვირთვა იმის მიხედვით თუ ბიგების რამდენი რიგი გვაქვს, იანგარიშება ფორმულებით:

ბიგების ორი რიგის შემთხვევაში:

$$R_1 = \frac{QC_{al_{Car}}}{(a^2 + b^2) \cdot 100};$$

$$R_2 = \frac{QC_{bl_{Car}}}{(a^2 + b^2) \cdot 100};$$

ბიგების სამი რიგის შემთხვევაში:

$$R_1 = \frac{QC_{al_{Car}}}{(a^2 + b^2 + d^2) \cdot 100};$$

$$R_2 = \frac{QC_{bl_{Car}}}{(a^2 + b^2 + d^2) \cdot 100};$$

$$R_3 = \frac{QC_{dl_{Car}}}{(a^2 + b^2 + d^2) \cdot 100};$$

სადაც: R_1 , R_2 და R_3 არის სანგრევისპირა სამაგრის შესაბამისი რიგის ბიგების რეაქციის ძალები, მმ;

a , b , და d – მანძილი სანგრევიდან შესაბამის სამაგრის რიგებს შორის, მ;

C – მანძილი სანგრევიდან ბლოკის შუამდე, მ;

Q – ბლოკის მასა, რომელიც მოდის სანგრევისპირა სამაგრის ერთ ჩარჩოზე, ტ;

$$Q = l h_{us} l_{car} \cdot \gamma$$

სანგრევისპირა სამაგრის ბიგების რიგის რაოდენობაზე დამოკიდებულებით ჩარჩოებს შორის მანძილის / l_{car} / ანგარიში წარმოებს ბიგების უკანასკნელი რიგის რეაქციის მიხედვით:

$$l_{car} = \frac{R}{P}$$

ბლოკის სიგრძე იანგარიშება ფორმულით:

$$l_{bl} = (0,25 \div 0,33) \sqrt{\frac{2\sigma_R h_{us}}{\gamma_{sas}}}$$

სადაც: σ_R არის ქანების სიმტკიცის ზღვარი დუნგაზე, მპა; აიღება ცხრილიდან; ბლოკის სიგრძე უნდა იყოს არა ნაკლები სანგრევისპირა სიგრცის სიგანისა.

მოცემული პირობებისათვის ბიგის ტიპზომა დამოკიდებულია ფენის სისქეზე, ამოსაღებ გელში ფენის სისქის ცვალებადობაზე და ჭერის დაწევის სიდიდეზე, იგი იანგარიშება ფორმულით:

$$H_{\theta_{aj}} = m + \Delta m - h_{\eta j} - h_1;$$

$$H_{\theta_{ab}} = m - \Delta m - h_{\eta j} - h_2 - h_{\theta_{abj}};$$

სადაც: $H_{\theta_{aj}}$ არის სანგრევისპირა ბიგის მაქსიმალური სიგრძე, მმ

$H_{\theta_{ab}}$ – სანგრევისპირა ბიგის მინიმალური სიგრძე, მმ;

m - ფენის საშუალო სისქე, მმ;

Δm – ფენის საშუალო სისქიდან მაქსიმალური გადახრა ამოსაღები გელის ფარგლებში, მმ;

$h_{\eta j}$ – ჩარჩოს უდლის სიმაღლე, მმ;

h_1 – ჭერის დაწევის სიდიდე სამაგრის პირველი რიგის თავზე, მმ;

h_2 – ჭერის დაწევის სიდიდე სამაგრის უკანასკნელი რიგის თავზე, მმ;

$h_{\theta_{abj}}$ – სანგრევისპირა ბიგის განშლადობის მარაგი, აიღება 30-50 მმ-ის ფარგლებში.

ჭერის ქანების დაწევის სიდიდე შეიძლება გამოვთვალოთ:

$$h_1 = \alpha m l_1$$

$$h_2 = \alpha m l_2$$

სადაც: α არის ჭერისა და ნიადაგის ქანების შეახლოების კოეფიციენტი, I კლასის ქანებისათვიოს /ადვილადქცევადი/ $\alpha=0,04$; II კლასის

ქანებისათვის /უშუალო ჩამოქცევადობის/ $\alpha=0,025$; III კლასის

ქანებისათვის /ძნელადქცევადი/ $\alpha=0,015$;

m – ფენის სისქე, მმ;

l_1 – სანგრევის სიბრტყიდან სანგრევისპირა სამაგრის პირველ რიგამდე მანძილი, მ;

l_2 – სანგრევის სიბრტყიდან სანგრევისპირა სამაგრის ბოლო რიგამდე მანძილი, მ;

თუ მეორად ჩამოქცევებს ადგილი არა აქვს, მაშინ სპეციალურ სამაგრზე მოსული დატვირთვა გამოწვეული მხოლოდ უშუალო ჭერის ქანებით შეიძლება ვიანგარიშოთ ფორმულით:

$$R^1 = \frac{h_1 \gamma}{800b} (3b^2 + 8bl_{\text{car}} + 6l_{\text{car}}^2)$$

სადაც: h_1 – არის ჩამოქცეული ქანების შრის ან უშუალო ჭერის სისქე, მ;

γ – უშუალო ჭერის ქანების საშუალო სიმკვრივე, $\text{ტ}/\text{მ}^3$;

b – სანგრევის სიბრტყიდან სპეციალურ სამაგრამდე მანძილი, მ;

l_{car} – უშუალო ჭერის ჩამოქცევის ბიჯი, მ.

დამსმელი სამაგრის ბიგების რაოდენობა ლავის 1 გრ. მეტრზე იანგარიშება:

$$n = \frac{R^1}{P};$$

დამსმელი სამაგრის ბიგებს შორის მანძილი იანგარიშება:

$$l = \frac{P}{R^1};$$

დამსმელი სამაგრის ტიპ-ზომის შერჩევა წარმოებს შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$H_{\text{maqs}} = m + \Delta m - \delta - \alpha \cdot m \cdot l_{\text{dam}};$$

$$H_{\text{min}} = m - \Delta m - \frac{\delta}{2} - \alpha \cdot m \cdot l_{\text{dam}} - \theta;$$

სადაც: $H_{\text{მაქ.}}$ არის დამსმელი სამაგრის მაქსიმალური სიმაღლე, მმ;

$H_{\text{მინ.}}$ – დამსმელი სამაგრის მინიმალური სიმაღლე, მმ;

δ – ხის ნაფენის სისქე, მმ;

l_{dam} – სანგრევის სიბრტყიდან სპეცსამაგრის დადგმის ადგილამდე მანძილი, მ.

მაბალითი: შერჩეულ იქნას ჭერის მართვის ხერხი და გათვლილ იქნას გამაგრების პასპორტი შემდეგი პირობებისათვის:

ფენის სისქე $m=1,0$ მ;

ფენის დახრის კუთხე $\alpha=12^0$

ნახშირის ამოღება წარმოებს კომბაინით 1K-101, რომლის პირმოღებაა $r=0,8$ და იგი მუშაობს მაქოსებრი სქემით;

ნახშირის გამოტანა ხდება СП-63 ტიპის კონვეირებით;

ლავის სიგრძე $l_1 = 150$ მ;

ლავში მუშაობა წარმოებს ოთხ ცვლაში, თითოეული 6 საათის ხანგრძლივობით, დღე-დამეში სრულდება 6 ციკლი;

ფენის ჭერში ჩაწოლილია მსხვილშრეული საშუალო სიმდგრადის თიხაფიქალი სისქით $l_{us}=8,0$ მ;

ჭერის ქანების საშუალო სიმკვრივე $\gamma=2,5$ ტ/მ³;

ძირითადი ჭერი წარმოდგენილია ქვიშაქვებით, სისქით 10,0 მ;

ფენის ნიადაგი წარმოდგენილია ქვიშაფიქლებით.

აღნიშნული სამთო-გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით ჭერის მართვის ხერხად ვიღებთ მთლიან ჩამოქცევას, ხოლო სანგრევისპირა სივრცის გამაგრებისათვის ვირჩევთ ГС ტიპის პიდრავლიკურ ბიგებს და 1 ВЗС ტიპის ლითონის უღელს სიგრძისთ 0,8 მ; სპეციალური დანიშნულების სამაგრად ვიღებთ ОКУ ტიპის ბიგებს; ჩამოქცევის ბიჯი 0,8 მ;

სანგრევისპირა სამაგრის ბიგების მაქსიმალური და მინიმალური სიმაღლე იანგარიშება ფორმულით:

$$H_{\text{maqs}} = m + \Delta m - h_{uR} - h_l$$

$$H_{\text{min}} = m - \Delta m - h_{uR} - h_2 - h_{ganS}$$

სადაც: m არის ფენის საშუალო სისქე, მ; $m=1000$ მმ;

Δm – ფენის საშუალო სისქიდან მაქსიმალური გადახრა და აიღება 5-10%

ფენის საშუალო სისქის, $\Delta m=0,1 \cdot 1000=100,0$ მმ.

h_{uR} – ლითონის უღლის სისქე, $h_{uR}=100$ მმ;

h_l – ჭერის დაწევის სიდიდე სამაგრის პირველი რიგის თავზე; პირველი რიგი დაყენებულია სანგრევის მკერდიდან 1,2 მ-ზე; ჭერის ქანები მიეკუთვნებიან II კლასის ქანებს მაშინ:

$$h_l=0,025 \cdot 1000 \cdot 1,2=30 \text{ მმ.}$$

h_2 – ჭერის დაწევის სიღიღე სამაგრის უკანასკნელი რიგის თავზე, რომელიც დაცილებულია სანგრევის მკერდიდან 2,8 მ-ზე, მაშინ:

$$h_l=0,025 \cdot 1000 \cdot 2,8=70 \text{ მმ}$$

$h_{\text{განვ}}$ – ბიგის განშლადობის მარაგი განტვირთვაზე, ვიღებთ $h_{\text{განვ}}=30 \text{ მმ}$.

მაშინ:

$$H_{\text{განვ}}=1000+100-100-30=970 \text{ მმ};$$

$$H_{\text{განვ}}=1000-100-100-70-30=700 \text{ მმ};$$

ვირჩევთ ГСУ-М ტიპის ბიგების III ტიპ-ზომას, რომლის მუშა წინადობა შეადგენს 0,2 მნ.

განვსაზღვროთ სანგრევისპირა სამაგრზე მოსული დატვირთვა; ჭერის ქანებს გააჩნიათ თვისება დაეკიდონ კონსოლური ძელის სახით. სანგრევისპირა სივრცის 1 მ² ფართობზე დაწოლა იქნება:

$$Q_{\text{სან}}=\frac{8,0 \cdot 2,5}{100}=0,2 \text{ მკა.}$$

ბიგების რაოდენობა 1 მ²-ზე

$$N=\frac{Q_{\text{სან}}}{P_{\text{PPP}}}=\frac{0,2}{0,2}=1 \text{ ცალი},$$

ვირჩევთ ლაგის გამაგრების ტიპიურ პასპორტს. სანგრევისპირა სამაგრის ჩარჩოები იდგმება სანგრევის სიბრტყის ნორმალურად. ბიგების პირველი რიგი იდგმება სანგრევიდან 1,2 მ-ის დაცილებით, მეორე – 2,0 მ; მესამე – 2,8 მ; მაშასადამე, ლაგში სანგრევის სიბრტყიდან 2,0 მ-ის დაცილებით ჩარჩოში გამოყენებული იქნება ორი ბიგი ე.ი. $N_1 = 2$.

ჩარჩოებს შორის მანძილი იქნება:

$$l_{\text{Car}}=\frac{N_1}{IN}=\frac{2,0}{2,0 \cdot 1}=1,0 \text{ მ}$$

აქ, l არის ჩარჩოს სიგრძე ანუ სანგრევის სიბრტყიდან მისი დაცილება, $l=2,0 \text{ მ}$.

ჩვეულებრივად ჩარჩოებს შორის მანძილი აიღება $l_{\text{Car}}=0,8-1,2 \text{ მ-ის ფარგლებში}$; ჩვენს შემთხვევაში ვიღებთ ნაანგარიშევ სიღიღეს, ე.ი. $l_{\text{Car}}=1,0 \text{ მ}$;

განვსაზღვროთ სპეციალური სამაგრის ტიპ-ზომა; OKY-04 ტიპის დამსმელი ბიგის მინიმალური სიმაღლე უნდა იყოს:

$$H_{\text{განვ}}=1000-100-70-50=780 \text{ მმ};$$

მაქსიმალური სიმაღლე უნდა იყოს:

$$H_{\text{განვ}}=1000+100-70=1030 \text{ მმ};$$

ვირჩევთ დამსმელ ბიგს OKUM-04, რომლის მინიმალური მუშა წინადობა შეადგენს 1,5 მნ.

სპეციალური სამაგრის 1 გრ მეტრზე მოსული დატვირთვა, გამოწვეული უშუალო ჭერის მოქმედებით შედაგენს:

$$R^1 = \frac{8,0 \cdot 2,5}{800 \cdot 2,0} \left(3 \cdot 2,0^2 + 8,0 \cdot 2,0 \cdot 0,8 + 6 \cdot 0,8^2 \right) = 0,458 \text{ მ;}$$

1 გრ მეტრზე მოსული დამსმელი ბიგების რიცხვი იქნება:

$$n = \frac{0,458}{1,5} = 0,3 \text{ ცალი;}$$

დამსმელი სამაგრის ბიგებს შორის მანძილი იქნება:

$$l = \frac{1,5}{0,458} = 3,3 \text{ მ;}$$

ჩვეულებრივად დამსმელი ბიგები განლაგდება ჩარჩოებს შორის. ვირჩევთ ლავის გამაგრების პასპორტს, რომლის დროსაც დამსმელი სამაგრის ბიგები იდგმება ყოველი ორი ჩარჩოს შემდეგ მესამეში ე.ი. მანძილი სპეციალური ბიგის ცენტრებს შორის შეადგენს 3,0 მ;

სპეციალური სამაგრის საჭირო რაოდენობა იქნება:

$$N_{\text{spec.}} = \frac{l_1}{l} = \frac{150}{3,0} = 50 \text{ ცალი;}$$

სანგრევისპირა სამაგრის ბიგებისა და უღლების რაოდენობა იქნება:

$$n_{\text{big.}} = \frac{l_1}{l_{\text{car}}} N_1 = \frac{150}{1,0} \cdot 3 = 450 \text{ ცალი;}$$

გინაიდან სანგრევისპირა სიკრცეში გვაქვს სამი რიგი სამაგრისა, უღლების რაოდენობა რიგში იქნება 3; სულ უღლების რაოდენობა იქნება:

$$n_{\text{uR.}} = \frac{l_1}{l_{\text{car}}} N = \frac{150}{1,0} \cdot 3 = 450 \text{ ცალი}$$

პიდრავლიკური ბიგების დანაკარგები 1% ნორმატივისას თვეში, შეადგენს:

$$\frac{450 \cdot 1,0}{100 \cdot 25} = 0,18 \text{ ცალი/დღედამეში;}$$

აქ 25 არის სამუშაო დღეთა რიცხვი თვეში.

ლითონის უღლების დანაკარგები თვეში 4% ნორმატივისას შეადგენს:

$$\frac{450 \cdot 4,0}{100 \cdot 25} = 0,72 \text{ ცალი/დღედამეში;}$$

დამსმელი ბიგების დანაკარგები თვეში 1% ნორმატივისას შეადგენს:

$$\frac{50 \cdot 1,0}{100 \cdot 25} = 0,02 \text{ ცალი/დღედამეში;}$$

ამოცანა 9. შერჩეულ იქნეს ჭერის მართვის ხერხი და გათვლილ იქნას გამაგრების პასპორტი შემდეგი პირობებისათვის:

№	ფენის დახრის კუთხე, გრად.	ფენის სისქე m, მ.	საშუალო სიმკვრივე γ, ტ/მ ³	ჭერის ქანების კლასი	ჭერის ქანების სისქე, მ.		ლაგის სიგრძე l_1 , მ.	კომბაინის პირმოდების სიგანე, r, მ.
					უშუალო ჭერის	ძირითადი ჭერის		
1	5	0,9	1,25	I	7	5	140	0,63
2	8	0,8	1,30	I	8	6	130	0,80
3	10	1,1	1,30	II	9	4	150	0,63
4	15	1,0	1,35	I	8	5	150	0,63
5	20	1,2	1,40	I	10	6	160	0,80
6	15	1,3	1,25	II	9	5	170	0,63
7	10	1,3	1,30	III	9	7	180	0,63
8	8	1,1	1,35	I	10	8	150	0,80
9	5	1,0	1,40	I	8	10	150	0,80
10	6	1,4	1,30	II	10	8	200	0,63

10. ზარისებრი აბრებატით აღჭურვილი საწმენდი სანგრევის დატვირთვის ანგარიში

ფარისებრი აგრეგატით აღჭურვილი საწმენდი სანგრევის დღედამური დატვირთვა იანგარიშება ფორმულით:

$$A_{\text{dR}} = \frac{T_{\text{cv.}} \cdot n \cdot l_1 \cdot m \cdot \gamma \cdot c \cdot r}{T_{\text{cik.}}}$$

სადაც: $T_{\text{cv.}}$ არის ცვლის ხანგრძლივობა, წთ;

n – სამუშაო ცვლათა რიცხვი დღედამეში;

l_1 – საწმენდი სანგრევის სიგრძე, მ;

m – ფენის სისქე, მ;

γ – ნახშირის საშუალო სიმკვრივე, ტ/მ³;

c – ნახშირის ამოღების კოეფიციენტი;

r – ამოღების ბიჯი; АЦМ აგრეგატისათვის $r=0,7\delta$, АНЦ -სათვის $r=0,6\delta$;

$T_{\text{cik.}}$ – ტექნოლოგიური ციკლის ხანგრძლივობა, წთ;

$$T_{\text{cik.}} = K \left(\frac{r}{v_1} + \frac{m - r_{\text{saw}}}{v_2} \right) + K_1 T_{\text{damx.}} + T_{\text{rem.}}$$

K – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ლაგის მუშაობაში უწყვეტ შესვენებებს, $K=1,16$;

v_1 – შემსრულებელი ორგანოს ვერტიკალური შეჭრის ნორმატიული სიჩქარე, $v_1=0,02-0,05$ მ/წთ;

v_2 – შემსრულებელი ორგანოს პორიზონტალური შეჭრის ნორმატიული სიჩქარე, $v_2=0,03-0,07$ მ/წთ;

$r_{\text{ხარ}}$ – საწმენდი ველის სიგანე, $r_{\text{ხარ}}=0,8$ მ;

K_1 – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს დროის ნორმატივს მოსამზადებელ-დასკვნით ოპერაციებზე და პირად საჭიროებაზე, $K_1=1,06$;

$T_{\text{დამ}}$ – დამხმარე თპერაციებზე დახარჯული დრო, წთ;

$$T_{\text{დამ}} = t_{\text{ფ.დ}} + t_{\text{კო}} + t_{\text{ხას}} + t_{\text{ფერდ}};$$

$t_{\text{ფ.დ}}$ – დროის ნორმატივი ფარის დაჯენაზე, სამაგრის განმბოზენაზე, აგრეგატის დათვალიერებაზე დაჯდომამდე და დაჯდომის შემდეგ, აიღება $t_{\text{ფ.დ}}=8-10$ წთ;

$t_{\text{კო}}$ – დრო კონვეიერ-რანდის გადაადგილებაზე და აწევაზე, აიღება $t_{\text{კო}}=8,0$ წთ/ციკლზე;

$t_{\text{ხას}}$ – დრო ნახშირსაშვები შუროს ჩაქრობაზე, აიღება $t_{\text{ხას}}=10-20$ წთ.

$t_{\text{ფერდ}}$ – დრო ნახშირის ფერდობის მოხსნაზე, აიღება $t_{\text{ფერდ}}=2-5$ წთ;

$T_{\text{რემ}}$ – სარემონტო-მოსამზადებელ სამუშაოზე დახარჯული დრო, წთ/ციკლზე;

$$T_{\text{rem}} = \frac{K \left[\left(\frac{r}{v_1} + \frac{m - r_{\text{saw}}}{v_2} \right) + K_1 T_{\text{დამ}} \right]}{n_{\text{ამორ.}}},$$

$n_{\text{ამო}}$ – ცვლების რაოდენობა ნახშირის ამოდებაზე.

ნაანგარიშევი ნორმატიული დატვირთვა ფარისებრ სანგრევზე უნდა შემოწმდეს გაზის ფაქტორის მიხედვით ნაანგარიშევ მაქსიმალურ დატვირთვაზე.

მაგალითი: განვსაზღვროთ ფარისებრ აგრეგატ აშშ-ით აღჭურვილი საწმენდი სანგრევის დატვირთვა შემდეგი პირობებისათვის:

ლავის სიგრძე $l_1 = 60,0$ მ;

ფენის ამოსადები სისქე $m=1,9$ მ;

ნახშირის საშუალო სიმკვრივე $\gamma=1,4$ გ/მ³;

მუშაობის რეჟიმი დღედამეში: სამი ცვლა მოპოვებაზე, ერთი სარემონტო-მოსამზადებელი; კონვეირ-რანდის მიწოდების სიჩქარე – ჰორიზონტალური $v_2 = 0,06$ მ/წთ; გერტიკალური $v_1 = 0,04$ მ/წთ; დამხმარე თპერაციებზე დახარჯული დრო იქნება:

$$T_{\text{დამ}} = 8 + 8 + 15 + 5 = 36 \text{ წთ};$$

სარემონტო-მოსამზადებელ სამუშაოებზე დახარჯული დრო იქნება:

$$T_{\text{rem}} = \left[1,16 \left(\frac{0,7}{0,04} + \frac{1,9 - 0,8}{0,06} \right) + 1,06 \cdot 36 \right] : 3 = 25,6 \text{ წთ};$$

ციკლის ხანგრძლივობა იქნება:

$$T_{\text{rem}} = 1,16 \left(\frac{0,7}{0,04} + \frac{1,9 - 0,8}{0,06} \right) + 1,06 \cdot 36 + 25,6 = 105 \text{ წ};$$

საწმენდი სანგრევის დღედამური დატვირთვა იქნება:

$$A_{\text{დR}} = \frac{360 \cdot 4 \cdot 19 \cdot 60 \cdot 1,4 \cdot 0,97 \cdot 0,7}{105} = 1485 \text{ ტ.}$$

ამოცანა 10. განვსაზღვროთ საწმენდი სანგრევის დატვირთვა შემდეგი პირობებისათვის:

№	ფარისებრი აგრეგატის ტიპი	ლაგის სიგრძე l_1 , მ.	ამოდების ბიჯი r, ϑ	ფენის ამოსაღები სისქე m, ϑ	ნახშირის საჭუალო სიმკერივე, $\gamma \text{ ტ/მ}^3$	მიწოდების სიჩქარე, მ/წთ		ცვლების რაოდენობა ამოდებაზე, $n_{\text{მოდ}}$
						გერტიკალური v_1	ჰორიზონტალური v_2	
1	АНЦ	60	0,6	0,9	1,30	0,02	0,03	3
2	АНЦ	60	0,6	1,0	1,35	0,03	0,06	3
3	АЦМ	50	0,7	1,2	1,40	0,03	0,02	3
4	АЦМ	40	0,7	1,6	1,42	0,04	0,05	3
5	АЦМ	50	0,7	1,8	1,36	0,05	0,07	3

შენიშვნა: ანგარიში შემოწმებულ იქნეს გაზის ფაქტორის მიხედვით ნაანგარიშევ დატვირთვაზე.

11. КГУ კომპლექსით აღჭურვილი საწმენდი სანგრევის დატვირთვის ანგარიში

КГУ კომპლექსით აღჭურვილი საწმენდი სანგრევის დღედამური დატვირთვა ტექნიკურ და ორგანიზაციულ დასაბუთებათა მიხედვით შეიძლება ვიანგარიშოთ ფორმულით:

$$A_{\text{dR.}} = \frac{T_{\text{cv}} \cdot n \cdot l_i \cdot m \gamma r c}{T_{\text{cik}}}$$

სადაც: T_{cv} არის ცვლის ხანგრძლივობა, წთ;

n – სამუშაო ცვლათა რაოდენობა, დღედამეში;

l_i – საწმენდი სანგრევის სიგრძე, მ;

m – ამოსაღები ფენის სისქე, მ;

γ – ფენის საშუალო სიმკვრივე, ტ/მ³;

C – ამოღების კოეფიციენტი;

T_{cik} – ტექნოლოგიური ციკლის ხანგრძლივობა, წთ;

r – კომბაინის პირმოღების სიგანე, მ;

$$T_{\text{cik}} = K \left(\frac{l_{\text{sam}}}{v_{\text{miw}}} + T_{\text{damx}} \cdot K_{\text{SeT}} \right) + T_{\text{rem}};$$

K – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ლაგის მუშაობაში გაუთვალისწინებელ შესვენებებს, $K=1,16$;

l_{sam} – ლაგის სამანქანო სიგრძე, $l_{\text{sam}} = l_i - l_{\text{wal}}$;

l_{wal} – წალოს სიგრძე, აიღება 10,0 მ; თუ მუშაობა წარმოებს წალოს

მოწყობის გარეშე; $l_{\text{sam}} = l_i$;

$V_{\text{გოწ.}}$ – კომბაინის მიწოდების ნორმატიული სიჩქარე, $V_{\text{გოწ.}} = 2 \div 5$ მ/წთ;

$K_{\text{გეთ.}}$ – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს სექციების

გადაადგილების შეთავსებას კომბაინით ნახშირის ამოღებასთან:

$$K_{\text{SeT}} = \frac{l_{\text{seq.}}}{v_{\text{miw}} \cdot t_{\text{seq}}},$$

$l_{\text{seq.}}$ – სექციებს შორის მანძილი, $l_{\text{seq.}} = 0,95$ მ;

$t_{\text{სექ.}}$ – დროის ნორმატივი სექციების გადაადგილებაზე, $t_{\text{სექ.}} = 1,0$ წთ.

$T_{\text{დაგ.}}$ – დროის ნორმატივი დამხმარე ოპერაციებზე ნახშირის კომბაინით ამოღებისას, წთ/ცვლაზე; იანგარიშება ფორმულით:

$$T_{\text{damx.}} = \frac{t_{\text{seq.}} \cdot l_{\text{sam.}}}{l_{\text{seq.}}}$$

T_{rem} – სარემონტო-მოსამზადებელ სამუშაოებზე დახარჯული დრო, წთ/ცვლაზე; იანგარიშება ფორმულით;

$$T_{\text{rem}} = \frac{K \left(\frac{l_{\text{sam}}}{V_{\text{miw.}}} + \frac{t_{\text{seq.}} \cdot l_{\text{sam}}}{l_{\text{seq}}} \right)}{n_{\text{amoR}}}$$

მაგალითი: განვსაზღვროთ კტუ კომპლექსით აღჭურვილი საწმენდი სანგრევის დღედამური დატვირთვა შედეგი პირობებისათვის:

ლავის სიგრძე, $l_{\text{ლ}}=140$ მ;

ფენის სისქე, $m=1,2$ მ;

ფენის საშუალო სიმკვრივე, $\gamma = 1,35$ ტ/მ³;

კომბაინით ნახშირის ამოღება წარმოებს ლავის მთელ სიგრძეზე, $l_{\text{ხამ}}=l_{\text{ლ}}=140$ მ.

მუშაობის რეჟიმი: დღედამეში ამოღებაზე მუშაობს 3 ცვლა, 1 ცვლა სარემონტო-მოსამზადებელი.

დროის ნორმატივი დამხმარე თკერაციებზე იქნება:

$$T_{\text{damx.}} = \frac{1,0 \cdot 140}{0,95} = 147 \text{ წთ};$$

სარემონტო-მოსამზადებელ სამუშაოებზე დახარჯული დრო იქნება:

$$T_{\text{rem}} = \frac{1,16 \left(\frac{140}{2,0} + \frac{1,0 \cdot 140}{0,95} \right)}{3} = 84 \text{ წთ};$$

სექციების გადაადგილების კომბაინის მუშაობასთან შეთავსების კოეფიციენტი იქნება:

$$K_{\text{SeT}} = \frac{0,95}{2,0 \cdot 1,0} = 0,475$$

ერთი ტექნოლოგიური ციკლის ხანგრძლივობა იქნება:

$$T_{\text{cik}} = 1,16 \left(\frac{140}{2,0} + 147 \cdot 0,475 \right) + 84 = 246 \text{ წთ};$$

საწმენდი სანგრევის დღედამური დატვირთვა იქნება

$$A_{\text{dR}} = \frac{360 \cdot 4 \cdot 140 \cdot 1,2 \cdot 1,35 \cdot 0,9 \cdot 0,97}{246} = 1160 \text{ ტ.}$$

ამოცანა 11. განვსაზღვროთ კტუ კომპლექსით აღჭურვილი საწმენდი სანგრევის დატვირთვა შემდეგი პირობებისათვის:

№	ლაფის სიგრძე, მ		ფენის სისქე m, მ	ფენის საშუალო სიმკრივე γ	კომბაინის პირმოდება r, მ	ცვლების რაოდენობა დღედამეში, n	ცვლების რაოდენობა ამოდებაზე n_ამოდ.
	საქროო, l _ლ	სამანქანო, l _{ხა}					
1	150	140	0,9	1,35	0,9	4	3
2	160	150	1,0	1,40	0,9	4	3
3	140	140	1,1	1,30	1,0	4	3
4	150	150	1,2	1,35	1,0	4	3
5	140	130	1,3	1,40	1,0	4	3

12. უბის მეთანიუხვის ანბარიში და დებაზაციის ხერხის შერჩევა

საწმენდი სანგრევის დატვირთვის გაზრდა ლაფის შეზღუდული სიგრძისას განიავების ფაქტორის მიხედვით შესაძლებელია ქვანახშირის ფენის და გამომუშავებული სივრცის დეგაზაციის გამოყენებით. ამოსაღები უბის ფარდობითი მეთანიუხვე დეგაზაციის გამოყენებისას იანგარიშება ფაორმულით:

$$q_{\text{ფ.}} = (1 - K_{\text{ფ.ლ}}) \cdot q_{\text{ფ.ნ.}} + K_{\text{ფ.ლ}} (1 - K_{\text{დ.ფ.ნ}}) \cdot q_{\text{დ.ნ.}}$$

სადაც: $K_{\text{ფ.ლ}}$ და $K_{\text{დ.ფ.ნ}}$ არის დეგაზაციის კოეფიციენტი, შესაბამისად დასამუშავებელი ფენისა და გამომუშავებული სივრცისა; აიღება ცხრილიდან;

$q_{\text{ფ.ნ.}}$ და $q_{\text{დ.ნ.}}$ – ლაფის მეთანიუხვე, განპირობებული შესაბამისად მეთანგამოყოფით დასამუშავებელი ფენიდან და გამომუშავებული სივრციდან, $\text{მ}^3/\text{გ}$;

$K_{\text{ფ.ლ}}$ – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მეთანგამოყოფას გამომუშავებული სივრციდან; მავნე აირების თანმიმდევრულად გაჯერებისას გამოყოფის წყაროების მიხედვით $K_{\text{ფ.ლ}}=1,0$; მავნე აირების განცალკევებულად გაჯერებისას გამოყოფის წყაროების მიხედვით $K_{\text{ფ.ლ}}=0 \div 0,2$;

დეგაზაციის საჭირო ეფექტურობის შექმნისათვის საჭიროა შერჩეულ იქნას მისი შესაბამისი პარამეტრები.

თუ დასამუშავებელი ფენის დეგაზაცია ხორციელდება მოსამზადებელი გვირაბებიდან გაბურღლილი ჭაბურღლილებით, მაშინ ცალკეული ბლოკის ფარგლებში დეგაზაციის სანგრძლივობა იქნება:

$$t_i = t_{\text{saw}} + (i-1) \left[L_{\text{bl}} \left(\frac{1}{v_{\text{saw}}} \pm \frac{1}{v_{\text{bur}}} \right) \right],$$

სადაც: t_{saw} . არის საწმენდი სამუშაოების დაწყებამდე დეგაზაციის დრო, დღედამჯ;

დამუშავების სვეტური სისტემისას $t_{\text{saw}} \geq 6$ თვე, მთლიანი სისტემისას $t_{\text{saw}} = \frac{L_{\text{Wab}}}{V_{\text{saw}}}$; აქ $L_{\text{გაბ.}}$.

ფენის ნაწილია, რომელიც გაბურდილია ჭაბურდილებით, აიღება საზიდი შტრეკის ლაგასთან წინსწრების ტოლი ე.ო. $50 \div 100$ მ;

i – ბლოკის რიგითი ნომერი; ბლოკების ათვლა წარმოებს გამკვეთი სასულიდან ლაგის გადაადგილების მიმართულებით

$$i = \frac{L_{\text{am.ut}}}{L_{\text{bl.}}}$$

$L_{\text{am.ut}}$ – ამოსაღები უბნის სიგრძე მიმართებით, მ;

$L_{\text{bl.}}$ – ბლოკის სიგრძე, მ; აიღება 100-150 მ-ის ფარგლებში;

V_{saw} – ლაგის წინწაწევის სიჩქარე, მ/დღედამეში;

$v_{\text{bur.}}$ – ამოსაღები გელის გადაადგილების სიჩქარე ბურლვის მიხედვით ანუ

საბურლი სამუშაოების ფრონტის გადაადგილების სიჩქარე, მ/დღედამეში;

ნიშანი „–“ აიღება საწმენდი სანგრევის გადაადგილების მიმართულების და სადეგაზაციო ბურლვის ფრონტის თანხვდენისას, ნიშანი „+“ აიღება როცა ეს მიმართულებანი საწინააღმდეგოა;

თითოეულ ბლოკში ჭაბურლილებს შორის მანძილი იანგარიშება ფორმულით:

$$R_i = \frac{K_{\text{zem.}} \cdot Z l_{\text{Wab.}} \cdot m_{\text{deg.}} \frac{q_{\text{saw.}}}{a} \ln(at_i + 1)}{H_{\text{sarT.}} \cdot m_{\text{gam.}} K_{\text{f.d.}} q_{\text{fen.}}}$$

სადაც: $K_{\text{ზემ}}$ არის ჭაბურლილები გაიშვიათების ზემოქმედების კოეფიციენტი;

დონეცის აუზისათვის $K_{\text{ზემ}}=1,0$; აუზნეციის და ყარაგანდის

აუზისათვის $K_{\text{ზემ}}=1,0 \div 2,2$;

Z – კოეფიციენტი, რომელიც ხასიათდება ფენიდან ცალკეულ ჭაბურლილებში გაზის გამოყოფის არათანაბრობით, აიღება $Z=0,75$;

$l_{\text{გაბ.}}$ – ჭაბურლილის სიგრძე, მ; დამუშავების სვეტური სისტემის დროს დაღმავალი ჭაბურლილებისას $l_{\text{გაბ.}}=l_{\text{ლ.}}$; აღმავალი

ჭაბურღლებისას $l_{\text{ჭაბ}}=l_{\text{ლ}}-(10-15)$ მ; დამუშავების მთლიანი

სისტემის დროს $l_{\text{ჭაბ}}=l_{\text{ლ}}+(15\div20)$ მ;

$l_{\text{ლ}}$ – ლაგის სიგრძე, მ;

$m_{\text{ლებ}}$ – ფენის ნახშირის დასტების სადეგაზაციო სისქე, მ;

$q_{\text{საწ}}$ – ჭაბურღლები საწყისი ხვედრითი მეთანგამოყოფა, $\text{მ}^3/\text{მ}^2\cdot\text{დღე}$;

დონეცის აუზისათვის $q_{\text{საწ}}=0,4\div1,75$; კუზნეცის და ყარაგანდის აუზისათვის $q_{\text{საწ}}=0,16\div0,6$;

α – კოეფიციენტი, რომელიც ხასიათდება ფენის თვისებებით სადეგაზაციო ჭაბურღლები გაზგამოყოფით; დონეცის აუზისათვის $\alpha=0,008\div0,045$; კუზნეცისა დაყარაგანდის აუზისათვის $\alpha=0,005\div0,011$ დღე;

t_i – i-ერ ბლოკში ჭაბურღლებით დეგაზაციის ხანგრძლივობა, დღე;

$H_{\text{სარ}}$ – სართულის /ქვესართულის/ სიმაღლე, რომელიც ჭაბურღლებით დეგაზირდება, მ;

$m_{\text{გაგ}}$ ნახშირის დასტების სისქე, რომლებიც გამოყოფენ გაზს ლაგის სანგრევისპირა სივრცეში, მ;

γ – ნახშირის საშუალო სიმკვრივე, $\text{ტ}/\text{მ}^3$.

მაგალითი: შერჩეულ იქნას დეგაზაციის ხერხი და მისი პარამეტრები შემდეგი პირობებისათვის:

ნახშირის საშუალო სიმკვრივე, $\gamma=1,33 \text{ ტ}/\text{მ}^3$;

დამუშავების სისტემა-სვეტური;

უბნის მეთანსიუხვე, $q=13,0 \text{ მ}^3/\text{ტ}$;

ფენის სისქე, $m=1,2$ მ;

ამოსაღები უბნის სიგრძე, $L_{\text{ამ.უბ.}}=1500$ მ;

საწმენდი სანგრევის გადაადგილების სიჩქარე, $V_{\text{საწ}}=3,78 \text{ მ}/\text{დღედამეში}$;

ლაგის სიგრძე $l_{\text{ლ}}=180$ მ;

საბურღლი სამუშაოების ფრონტის გადაადგილების სიჩქარე, $V_{\text{ბურ.}}=11,5$

მ/დღედამეში;

მეთანსიუხვე, განპირობებული ფენიდან მეთანგამოყოფით შეადგენს $q_{\text{ფენ.}}=10,0 \text{ მ}^3/\text{ტ}$, გამომუშავებული სივრციდან $q_{\text{ვ.ს.}}=3,0 \text{ მ}^3/\text{ტ}$;

სართულის სიმაღლე, $H_{\text{სარ.}}=190$ მ.

დეგაზაციის მხედველობაში მიღებით ამოსაღები უბნის მეთანსიუხვე იქნება:

$$q_{\text{ub}} = (1 - K_{\text{f.d.}}) q_{\text{feen.}} + K_{\text{g.s.}} (1 - K_{\text{d.g.s.}}) q_{\text{g.s.}}$$

კოეფიციენტის $K_{\text{გ.ხ.}}$ მნიშვნელობა განიავების სქემისათვის, როცა მავნე აირების გამოყოფის წყაროების გაჯერება ხდება თანმიმდევრულად, $K_{\text{გ.ხ.}}=1,0$;

მეთანის უმეტესი რაოდენობა უბანზე გამოიყოფა ფენიდან $q_{\text{ფ.ნ.}}=10,0 \text{ მ}^3/\text{ტ}$, ამიტომ პირველ რიგში აუცილებელია ფენის დეგაზირება. ვინაიდან გამომუშავებული სივრციდან გამოიყოფა მეთანის შედარებით მცირე რაოდენობა $K_{\text{გ.ხ.}}=3,0 \text{ მ}^3/\text{ტ}$ და გამომუშავებული სივრცის დეგაზაციაზე ჩატარებული დონისძიებები დამუშავების სვეტური სისტემისას ტექნოლოგიური თვალსაზრისით გაძნელებულია, მეთანსაშიშროების შემცირება უნდა წარმოებდეს მხოლოდ დასამუშავებელი ფენის მიხედვით ე.ო. $K_{\text{დ.გ.ხ.}}=0$.

ცხილიდან ვირჩევთ ჩვენი პირობებისათვის ყველაზე მისაღებ დეგაზაციის ხერხს – მოსამზადებელი გვირაბებიდან ფენში გაბურდილი ჭაბურდილებით, რომლისთვისაც $K_{\text{ფ.დ.}}=0,3 \div 0,5$;

იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს $K_{\text{ფ.დ.}}=0,5$ საჭიროა გავითვალისწინოთ ბლოკების რაოდენობა. დამუშავების სვეტური სისტემისათვის ვიღებთ $L_{\text{გ.დ.}}=100 \text{ მ}$; მაშინ

$$i_{\text{ბ}} = \frac{1500}{100} = 15 \text{ ბლოკი};$$

მე-15 ბლოკის დეგაზაციისათვის საჭირო დრო იქნება:

$$t_{15} = t_{\text{saw.}} + (15-1) \left[100 \left(\frac{1}{v_{\text{saw.}}} - \frac{1}{v_{\text{bur.}}} \right) \right];$$

დამუშავების სვეტური სისტემისათვის ვიღებთ $t_{\text{საჭ.}}=6,0 \text{ თვე}$, ანუ 180 დღე; მაშინ:

$$t_{15} = 180 + (15-1) \left[100 \left(\frac{1}{3,78} - \frac{1}{11,5} \right) \right] = 426 \text{ დღე};$$

მე-15 ბლოკში ჭაბურდილებს შორის მანძილი იქნება:

$$R_{15} = \frac{1,0 \cdot 0,75 \cdot 165 \cdot 1,2 \cdot \frac{0,44}{0,013} \ln(0,013 \cdot 426 + 1)}{190 \cdot 1,2 \cdot 1,33 \cdot 0,5 \cdot 10,0} = 4,5 \text{ მ}$$

ამოსაღები უბნის მეთანსიუხვე იქნება:

$$q_{\text{ფ.ბ.}} = (1-0,5)10,0 + 1(1-0)3 = 8,0 \text{ მ}^3/\text{ტ}.$$

ამოცანა 12: შერჩეულ იქნას დეგაზაციის ხერხი და მისი პარამეტრები შემდეგი პირობებისათვის:

N ^o	აუზი	H _{ბარ.} , მ	l _{კ.} , მ	l _{საჭ.} , მ	m, მ	γ, მ ³ /ტ	V _{ბარ.} , მ ³ /დღ	q _{ვან.} , მ ³ /ტ	q _{ბ.ბ.} , მ ³ /ტ
1	დონეცის	200	190	1200	1,1	1,30	3,78	7,5	4,0
2	დონეცის	170	160	1500	1,5	1,35	4,0	10,0	3,0
3	დონეცის	180	170	1400	1,4	1,40	3,15	8,0	4,0
4	კუზნეცვის	120	100	1300	2,0	1,35	3,0	8,5	2,0
5	ყარაგანდის	170	140	1200	1,5	1,30	2,8	4,5	1,5

13. ნახშირის ფენის ფინასტარი და ტენიანების ანგარიში

ნახშირის მასივის წინასწარი დატენიანება წარმოადგენს მიწისქვეშა გვირაბებში მტკერწარმოქმნის შემცირების ეფექტურ მეთოდს. დატენიანება გამოყენებულ უნდა იქნეს საწმენდ და მოსამზადებელ გვირაბებში, როგორც ნახშირში, ასევე ნახშირში და ფუჭ ქანში გაყვანილ გვირაბებში.

ფენის წყლის დაჭირხვნის ხერხის შერჩევა წარმოებს კონკრეტული სამთო-გეოლოგიური და სამთო-ტექნიკური პირობების გათვალისწინებით და შეიძლება განხორციელებულ იქნას ჭაბურღილების ან შპურების მეშვეობით.

საწმენდი სანგრევის პარალელურად გაბურღილ ჭაბურღილებში წყლის დაჭირხვნა წარმოებს დამუშავების სვეტური და მთლიანი სისტემების დროს, როდესაც მოსამზადებელი გვირაბები წინ უსწრებენ საწმენდ სანგრევს. ჭაბურღილები განლაგდება ფენის სისქის შუაში საწმენდი სანგრევიდან 40-50 მ-ის დაცილებით.

ჭაბურღილის სიგრძე იანგარიშება ფორმულით:

$$l_{Wab} = l_i - 15 \text{ მ};$$

სადაც: l_i არის ლავის სიგრძე, მ;

თუ ჭაბურღილები იბურღება ერთდროულად საზიდ და საგენტილაციო შტრეკებიდან, მაშინ მათი სიგრძე შეადგენს:

$$l_{Wab} = \frac{l_i}{2} - 5$$

ჭაბურღილში მისაწოდებელი წყლის საჭირო რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$Q_{Wab} = 1,1 l_{Wab} m \gamma q_{xv.}$$

სადაც: l_{Wab} არის ჭაბურღლილის სიგრძე, მ;

l – ჭაბურღლილებს შორის მანძილი, აიღება 10-25 მ-ის ფარგლებში;

m – ფენის სისქე, მ;

γ – ნახშირის საშუალო სიმკვრივე, δ/θ^3 ;

კევ. ფენის ფორიანობისაგან დამიკიდებული წყლის ხვედრითი ხარჯი დატენიანებეზე, აიღება $10 \div 40 \text{ ლ}/\delta$;

ჭაბურღლილის დიამეტრი $d_{\text{ჭაბ}} = 45 \div 100 \text{ მმ}$;

დაჭირხვნის დროს წყლის წნევა დამოკიდებულია ნახშირის ფილტრაციის მახასიათებელზე და დაჭირხვნის ტემპზე. ექსპერიმენტალურად დადგენილია რაციონალური წნევები სხვადასხვა აუზებისათვის: $10 \div 60 \text{ ლ}/\text{წთ}$ დაჭირხვნის ტემპის დროს დონეცის აუზისათვის $2 \div 20 \text{ მპა}$; ყარაგანდის აუზისათვის $3 \div 5 \text{ მპა}$; კუზნეცის აუზისათვის $5 \div 15 \text{ მპა}$.

საწმენდი სანგრევიდან გაბურღლილ შპურებში წყლის დაჭირხვნა წარმოებს იმ შემთხვევაში, როდესაც საწმენდი სანგრევის პარალელურად ჭაბურღლილებით წყლის დაჭირხვნა შეუძლებელია. შპურები იბურღება დაახლოებით ფენის შუაში სანგრევის სიბრტყისადმი მართობულად ან რაიმე კუთხით დახრით.

შპურის სიგრძე შეადგენს $l_{\text{sp}} = rn_{\text{cik.}} + 0,3 \text{ მ}$;

სადაც: r არის შემსრულებელი ორგანოს პირმოდების სიგანე, მ;

$n_{\text{cik.}}$ – ამოსაღები ზოლების რიცხვი დღედამეში;

შპურებს შორის მანძილი აიღება ექსპერიმენტალური მონაცემების მიხედვით და შეადგენს $l_{\text{sp}} = 2 \div 5 \text{ მ}$;

წყლის საჭირო წნევა დაჭირხვნისას შეიძლება განისაზღვროს ფორმულით:

$$P = \frac{37 \cdot 10^{-6} \cdot q_d (l_g l_{\text{sp.mf.}} - l_g r_{\text{sp}})}{K_{\text{f.s.}} l_{\text{sp.mf.}}}$$

სადაც: q_d არის დაჭირხვნის ტემპი, აიღება $10 \div 60 \text{ ლ}/\text{წთ}$;

$l_{\text{sp.mf.}}$ – შპურების მფილტრაციის ნაწილის სიგრძე, აიღება შპურის სიგრძის

ერთი მესამედი ე.ი. $l_{\text{sp.mf.}} = \frac{1}{3} l_{\text{sp.}}$;

$r_{\text{ფ.}}$ – შპურის რადიუსი, მ-ში აიღება $0,021 \text{ მ}$;

$K_{\text{ფ.}}$ – ფილტრაციის საშუალო კოეფიციენტი;

დონეცის აუზისათვის – $K_{\text{ფ.}} = 1,06 \cdot 10^{-6} \div 10,6 \cdot 10^{-6}$;

კუზნეცის აუზისათვის – $K_{\text{ფ.}} = 3,9 \cdot 10^{-6} \div 6,3 \cdot 10^{-6}$;

ყარაგანდის აუზისათვის – $K_{\text{ფ.}} = 6,3 \cdot 10^{-6} \div 18,9 \cdot 10^{-6}$;

დაჭირხვნის ხანგრძლივობა განისაზღვრება მიწოდებული წყლისა და დატენიანებული მასივის ტოლობიდან გამომდინარე, შემდეგი ფორმულით:

$$t_{\text{daW.}} = \frac{\pi \cdot l_{\text{sp.}}^2 \cdot I_{\text{sf.mf}} \cdot q_{\text{xv.}}}{4q_e}$$

სადაც: q_{b3} არის დატენიანებული მასივის ხვედრითი წყალშემცველობა, ლ/გ.

მაგალითი: შერჩეულ იქნას ფენაში წყლის დაჭირხვნის ხერხი დონეცის აუზის შახტის შემდეგი პირობებისათვის:

დამუშავების სისტემა – სვეტური;

ლავის სიგრძე – $l_{\text{ლ.}} = 180$ მ;

ფენის სისქე – $m = 1,2$ მ;

ფენის საშუალო სიმკვრივე $\gamma = 1,35$ ტ/ტ³;

სამთო ტექნიკური პირობების საფუძველზე ვირჩევთ საწმენდი სანგრევის პარალელურად გაბურლილ ჭაბურლილებით წყლის დაჭირხვნის ხერხს. ჭაბურლილები იბურლება ფენის შუაში საწმენდი სანგრევიდან 40 მ-ის დაცილებით ერთდროულად საზიდ და სავენტილაციო შტრეპიდან.

ჭაბურლილების სიგრძე იქნება:

$$l_{\text{Wab}} = \frac{180}{2} - 5 = 85 \text{ მ;}$$

ჭაბურლილის დიამეტრი მივიღოთ $d_{\text{ჭ.}} = 100$ მმ;

ჭაბურლილებს შორის მანხილი მივიღოთ $l_{\text{ჭ.}} = 10,0$ მ;

წყლის წნევა დაჭირხვნისას მივიღოთ 6 მპა;

ერთ ჭაბურლილზე წყლის ხარჯი იქნება:

$$Q_{\text{ჭ.}} = 1,1 \cdot 85 \cdot 10,0 \cdot 1,2 \cdot 1,35 \cdot 20,0 = 30295 \text{ ლ.}$$

ამოცანა 13. შერჩეულ იქნას ფენაში წყლის დაჭირხვნის ხერხი შემდეგი პირობებისათვის:

Nº	აუზი	დამუშავების სისტემა	საწმენდ სანგრევებთან შეტყების წინსწრება	$l_{\text{ლ.}}$, მ	m , მ	γ , ტ³/ტ	$n_{\text{G.}}$	r , მ.
1	დონეცის	სვეტური	1750	180	1,2	1,35	6	0,63
2	დონეცის	სვეტური	1500	200	1,4	1,40	5	0,80
3	კუბნეცის	მთლიანი	100	180	1,8	1,30	5	0,63
4	ყარაგანდის	მთლიანი	50	150	1,5	1,35	6	0,63
5	დონეცის	მთლიანი	100	220	1,0	1,40	4	0,80

სარჩევი

სართო ცნობები - - - - -	3
1. საწმენდი კომპლექსის მწარმოებლურობის განსაზღვრა- - - - -	6
2. კომბაინის მწარმოებლურობის განსაზღვრა გამაგრების სიჩქარის მიხედვით- - - - -	8
3. საწმენდი სამუშაოების ტექნოლოგიური სქემის მზადყოფნის კოეფიციენტის განსაზღვრა- - - - -	10
4. სარანდე დანადგარის მწარმოებლურობის ანგარიში-- - - - -	12
5. საბურდ-შეცემური მანქანის მწარმოებლურობის განსაზღვრა- - - - -	17
6. საწმენდი სანგრევის ხის ინდივიდუალური სამაგრის ანგარიში და გამაგრების პასპორტის შერჩევა - - - - -	20
7. მექანიზებული სამაგრის ტიპ-ზომის შერჩევა- - - - -	23
8. მექანიზებული სამაგრის ანგარიში- - - - -	26
9. საწმენდი სანგრევის გამაგრების პასპორტისა და ჭერის მართვის ანგარიში ინდივიდუალური სამაგრისას - - - - -	31
10. ფარისებრი აგრეგატით აღჭურვილი საწმენდი სანგრევის დატვირთვის ანგარიში- - - - -	38
11. КГУ კომპლექსით აღჭურვილი საწმენდი სანგრევის დატვირთვის ანგარიში - - - - -	41
12. უბნის მეთანიუხვის ანგარიში და დეგაზაციის ხერხის შერჩევა- - - - -	43
13. ნახშირის ფენის წინასწარი დატენიანების ანგარიში - - - - -	47